

ზურაბ ფარესიშვილი

ჭურაბ ფარესიშვილი



ფარეშიშვილი გარე

ფარეშიშვილი

ქ.თბილისი  
2012



Դանուի Հոհ. Հովսյան,  
ար զբանշանս մղջման.  
Իշխան Վարդանս սբայտ,  
Եղ ճաշկոմքամ լոմիուման.

Խեղան, Հայուն-Ծովագոման,  
օշարժմանաւ խոն  
Խթիչս, Խեղան Ցուցագոման,  
օս դառչկայիմ պատու.

Խօնքը Հայուն, Խօնքը  
օս սմ շաշինեցու մնան.  
Խանոմամ դառչկայիմեցու,  
զսկսու! ողջու խոն.

A handwritten signature in black ink, appearing to read "ԱՐԱՄ ՍԱՐԳՍՅԱՆ".

წიგნში განხილულია ონომასტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ერთი ძირძველი ქართული გვარის წარმოშობისა და ფორმირების ისტორია, რომელიც სადა, გასაგები და საინტერესოდ საკითხავი ენითაა დაწერილი. ასევე, ეს ნაშრომი შეიცავს საკმაოდ სრულყოფილ ინფორმაციას საგვარეულოს სიმბოლოს, რომელიც შემდგომ ყალიბდება როგორც პერალდიკური ნიშანი, მისი კომპონენტებისა, მათი სიმბოლიკის და გერბის შექმნის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

**ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი ნინო ბარნოვი**

© ზ.ფარესიშვილი

ISBN 978-9941-0-4118-1



წიგნი დაიბეჭდა ინდივიდუალურ საწარმო  
„პარტნიორში“

XVIII საუკუნის 70-იანი წლების პერიოდში რუსეთის სახელმწიფო მიზანდასახულად და აქტიურად იპყრობდა მის გარშემო მიმდებარე ტერიტორიებს და რუსეთის საზღვრები თითქმის კავკასიონის ქედს მოაბჯინა. რუსული, დამპყრობლური „ველიკოდერუსავული“ პოლიტიკა ყოველ ღონეს ხმარობდა წარმატებების მისაღწევად ამიერკავკასიაში დაპყრობილ ტერიტორიებზე დასაყრდენი პუნქტების გასაჩენად.

ამ პერიოდისათვის საქართველოში და განსაკუთრებით ქართლ – კახეთის რეგიონში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, რომელიც გამოწვეული იყო გარეშე და შიდა მტრების თარეშით, ღალატითა და „ოსმალო – ყიზილბაშობით“, ერკლე II-ე იძულებული გახადა რუსეთის მეფისათვის მფარველობა ეთხოვა და მოლაპარაკება 1782 წლის მიწურულიდან დაიწყო.

ამ მეტად დამამცირებელი, კაბალური და მძიმე პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე გადაწყვეტილება 1783 წლის ივლისში ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, გიორგიევსკის ციხე – სიმაგრეში დაიდო. იგი შემდგომში ცნობილი გახდა როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის „მეგობრობითი პირობა“, ანუ „ტრაქტატი“. 1784 წელს ერკლე II-მ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი მიიღო და ტრაქტატსაც მოაწერა ხელი.

უპირო და სიტყვის გამტეხი იმპერიული რუსეთის მხრიდან „ტრაქტატის“ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობამ, საშინაო საქმეებში ჩარევამ და სხვადასხვა მიზანმიმართულმა სისტემატიურმა დარღვევებმა საქართველოში

პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა ვერ გამოასწორა და იგი კვლავ უმძიმეს პირობებში დატოვა, რამაც ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლებაში მყოფ ერეკლე-II-ის მომხრეთა ჯგუფს, რომელიც ცდილობდა საქართველოს პოლიტიკურ – ეკონომიკური ცხოვრების გარდატეხას და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გააქტიურება დააწყებინა.

ამ დროს ხელისუფლებაში არსებობდა საბჭო, რომელსაც ფეოდალთა კლასის წარმომადგენლობიდან მრავალი მხარდამჭერი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი ედგა სათავეში. ასევე იმდროინდელ ფეოდალური საზოგადოება, რომელშიც შედიოდნენ დიდი საერო თუ საეკლესიო ფეოდალები, ტახტის აზნაურები, სამეფო კარის მოხელეები და ჩინოსნები, ამუშავებდა კანონპროცექტებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად. ყოველივე ამას სათავეში ედგა იოანე ბაგრატიონი.

1801 წლის სექტემბერში რუსეთის მიერ გამოქვეყნებულმა მანიფესტმა, რომელიც ითვალისწინებდა ქართლ – კახეთის სამეფოს გაუქმებასა და რუსეთთან შეერთებას, საქართველო აქცია პოლიტიკური მღელვარების ფაქტორად. სწორედ ეს გახდა მთავარი მიზეზი საქართველოში ქართლ – კახეთის სამეფოს ფეოდალური კლასების დაშლისა. ამას ხელი შეუწყო რამდენიმე სხვა ფაქტორმაც, კერძოდ, ამ პერიოდში გარდაიცვალა გიორგი XII და სამეფოს უმაღლესი ხელისუფლება რუსი ელჩის – პეტრე კოვალენსკისა და რუსი ჯარის მეთაურის ლაზარევის ხელში გადავიდა, რამაც კიდევ უფრო გაარღმავა პოლიტიკური განხეთქილება ქვეყნის შიგნით.

საქართველო თანდათან კარგავდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფუნქციას და იქცეოდა რუსეთის სამხედრო მოქმედებათა ბაზად აღმოსავლეთ საქართველოში, რასაც მოჰყვა ჯერ 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში და შემდგომ

1812 წლის აჯანყება კახეთში. სწორედ ამ პერიპეტიკისა, აჯანყებათა მონაწილენი და თვითმხილველნი იყვნენ ნარკვეპში მოყვანილი საგვარეულოს წინაპართა წარმომადგენლები და პირები, რომელთა შემდგომი ცხოვრების გზა აღმოჩნდა საბაბი, ფარესას – შვილების გვარის ძალზე მოკრძალებული და მოკლე გენეალოგიის აღწერისა.

## მამაკაცი გონიოთი

გვარი ფარესას – შვილი ძირძველი გვარია. წარმოშობით ქართლის მთიანეთიდანაა და ძირითადად გვხვდება დუშეთის რაიონში. ოდნავ შეცვლილი ფარეშიშვილის, ფარესაშვილის ან ფარესიშვილის სახით. თუმცა გვარი საკაოდ გავრცელებულია თელავის, ახმეტისა და კასპის რაიონებშიც, გასულ საუკუნეებში კი დუშეთის მაზრის სოფელ ჭილურტში. საინტერესოა ისიც, რომ სოფლის გარშემო მიმდებარე ტერიტორიაზე გლეხობა ერთ – ერთ დასახლებულ უბანს ფარეშიანთ უბანს, ანუ კარსაც უწოდებდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართლის მთიანეთში არსებულ სოფლებთან და, სხვათა შორის, დღესაც, გავრცელებული იყო საგვარეულო დასახლების ასეთი უბნები, ანუ კარი, რომლებსაც გარკვეული გავლენა პქონდათ მოსახლეობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გააჩნდათ სოფლის სტატუსი.

გვარი ფარესას – შვილი XVI საუკუნიდან გვხვდება და საკმაოდ გავრცელებულ გვარად ითვლებოდა ქართლის მთიულეთში, რაც დაკავშირებული იყო ვინმე ფარესას სახელთან, თუმცა უფრო აღრეულ ხანებში, XII–XIII საუკუნეების მიჯნასა და დასაწყისში გვხვდება იგივე ოდნავ

შეცვლილი სახელი ფარეზაც, რომლებიც შემდგომ მოიხსენიებიან ფარეზასშვილებად ან ფარეზასძედ.

მთიული ხალხის ძირითადი საქმიანობა იყო მესაქონლეობა და გარეშე მტერთან ბრძოლა. მთიული მეომარი გამოირჩეოდა უაღრესად დიდი ერთგულებით, სისხარტით, ფარიკაობის დიდი გამოცდილებით, ცხენზე ჯირითითა და ბრძოლის სხვა საჭირო თვისებებით, რომელებიც მეომარს სჭირდებოდა და ყოველივე ეს ბუნებით ჰქონდა მომადლებული. თუმცა ქართლის მთიულები ხელოსნობასაც მისდევდნენ. მთაში ხელოსნობის ერთ – ერთ გავრცელებულ და საპატიო ხელობად ქვის დამუშავება ითვლებოდა, ამასთან მთიული ხელოსნები შესანიშნავი მშენებლები და ხუროები იყვნენ. ამაზე მეტყველებს მთაში მიუვალ კლდეებზე აღმართული ციხე – სიმაგრეები, ეკლესიები, სალოცავები, სათვალთვალო პუნქტები და საცხოვრებელი სახლები. ამიტომ მთიული ხელოსნებიც აქტიურად მონაწილეობდნენ და იღვწოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ციხე – სიმაგრეებისა და ეკლესია – მონასტრების მშენებლობაში.

ძალზე საინტერესო და ღრმა დასაბუთებულ ფაქტებზეა შექმნილი ბატონ ვახტანგ ბერიძის წიგნი „**მშენებელი რსტატები**“, რომელშიც მათი ხელობა დიდი რუდუნებითაა აღწერილი და შეიცავს უნიკალურ ცნობებს ძველი ქართველი მშენებელი ოსტატების შესახებ, რომელთა სახელები და მოღვაწეობის პერიოდი აღწერილია არა მარტო წიგნის ავტორის მიერ, არამედ მოხსენებულია თვით ძეგლთა წარწერებსა და სხვა წერილობით წყაროებში.

როგორც აღვნიშნეთ, ქართლის მთიულეთში (და არა მარტო იქ) გვარების წარმოშობა ძირითადად სახელებთან არის დაკავშირებული, მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე სახელი, რომელიც იქცა ფუძედ და შემდგომ მათგან აღმოცენდა უკვე დღეისათვის საკმაოდ გავრცელებული გვარები. ნამგალა – ნამგალაური, მგე-



საფარის მონასტერი. მთავარი ტაძარი (წმ. საბა) აგებულია XIII ს-ის ბოლოს ხუროთმოძღვარ ფარეზასძის მიერ.



საფარის წმინდა საბას ტაძრის დასავლეთის მხარე

ლიკა – მგელიაშვილი – მგელაძე, ვეფხია – ვეფხიაური – ვეფხვაძე, მიქელა – მიქელაშვილი. ზვიადი – ზვიადაური, ფარესა – ფარესაშვილი, ფარეზა – ფარეზასძე და სხვა.

**ზარზაბეჭა** – XII საუკუნის ხუროთმოძღვარია, რომელმაც იმ საუკუნის 80-იან წლებში, სამცხის მფლობელის ბექა მანდატურთუხუცესის ბრძანებით, ააგო საფარის წმ. საბას ტაძარი. მისი სახელი მოხსენებულია სარკმლის წარწერაში ტაძრის დასავლეთის კარიბჭეზე: „სრულ იქმნა საყდარი მსე სამირაცხლითგა ყოვლითა ჭერითა ხელითა ზარზას – ძისათა შეზღვნენ ჯმრთმან.“<sup>1</sup> ნათქვამია წარწერაში, ე. ი. ეს საყდარი (ეკლესია) მთლიანად, საძირკველითვე, აშენდა (მისი აგება დასრულდა) ფარეზას ძის ხელითაო. სამწუხაროდ, ჩვენი ძველი ოსტატები იშვიათად აწერდნენ თავის სახელს შენობებზე. ჩვენ სულ რამდენიმე ძველი ქართველი ხუროთმოძღვრის სახელი ვიცით. ცხადია, მით უფრო საყურადღებოა, რომ საფარის კედლებმა შეგვინახა მისი მშენებლის ვინაობა.

ხუროთმოძღვრის დახელოვნებას შენობის საინჟინრო – ტექნიკური მხარეც ამტკიცებს, რომ წმ. საბას ტაძრის აგება განსაკუთრებით ძნელი და საპასუხისმგებლო იყო, რადგან აქ, კედლელივით აღმართული კლდის თავზე არ ჰქონდათ საკმარისი ადგილი დიდი შენობის დასადგმელად. მშენებელი იძულებული გამხდარა კლდეზე დაემყარებინა საბჯენი კედელი და ხელოვნურად შეექმნა საჭირო სიდიდის ბაქანი. საქმეს ისიც ართულებდა, რომ დასავლეთის მხარეს ადგილი შეზღუდულია კლდითა და ფერდით.

ხუროთმოძღვრებმა ფარეზამ და მისმა ვაჟმა ოსტატუ-


<sup>1</sup> ვ. ბერიძე - „ძველი ქართველი ოსტატები“. გვ. 213 (ფარეზას ქე - XIII ს-ის ხუროთმოძღვარი). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. ქ. თბილისი, 1967 წ. წმ. საბას ტაძარი ააგო ხუროთმოძღვარმა ფარეზასძემ.

რად გადალახეს სიძნელენი და ისეთი მტკიცე შენობა ააგეს, რომ მის კედლებს დღესაც, თითქმის 900 წლის შემდეგ, არავითარი ზიანი არ ეტყობა... წარწერის ტექსტი უეჭველად მოწმობს, რომ ფარეზაც და ფარეზასძეც მთელი ტაძრის მაშენებელია და არა მარტო მისი დასავლეთის კარიბჭისა. საფარაშივე შემონახულია რელიეფი: მამაკაცი გონიოთი და ჩაქუჩით ხელში, რომლის ქვეშ არის წარწერა „ვარმზს შაზდვნენ ღმერთმან“. ეჭვგარეშეა და უდავოა, რომ ფარეზა საფარის მშენებელი ფარეზასძის მამაა, რომ ფარეზასძეს თავისი ხელობა მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული.<sup>2</sup>

როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, საფარის მონასტერში, ჯაყელის ერთ – ერთი რეზიდენცია იყო მოთავსებული, ხოლო საფარის მთავარი შენობა ფარეზასძემ ააგო. ეჭვს აღარ იწვევს, რომ ფარეზასძე ხელმძღვანელობდა მთელი კომპლექსის მშენებლობას მამასთან ერთად, და იგი იყო ბექას კარის ხუროთმოძღვარი.

მინდა მოვიყვანო პოეტ შოთა ამირანაშვილის კრებულში შესული ძველ კულტურის ძეგლებზე დაწერილი საინტერესო შარადები, და მათ შორის უნიკალურ ძეგლზე – საფარაზე, რომელიც კიდევ ერთხელ გააღვივებს მკითხველში ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის პატივისცემას:<sup>3</sup>

მზის და წვიმისგან აიგო,  
ცაზე გაიდო ხიდად, -  
პირველი მარცვლის მომდევნო  
ორივე ბერა გვინდა.  
მეორე – იალაღზეა,



2 ვ. ბერიძე - „სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები“, გვ. 25-26, გვ. 29, წმ. საბას ტაძარი ააგო ხუროთმოძღვარმა ფარეზასძმ, გამომცემლობა „ნაკადული“, ქ. თბილისი, 1969 წ.

3 შ. ამირანაშვილი - „ცოცხალი წინაპარი“, გვ. 3. გამომცემლობა „ხელოვნება“, ქ. თბილისი, 1982 წ.

საფარის წმ. საბას ტაძარი, დასავლეთის სარკმელი  
და კარიბჭის ნაწილი.

ქათქათებს როგორც თოვლი,  
ბალახის ძოვით გართულა  
მწყემსი დარაჯობს კომბლით.  
ლექსში ჩამოთვლილ ნაწილებს  
თუ შეაერთებთ ახლა,  
ქართული ხუროთმოძღვრების  
ბრწყინვალე ძეგლი გახლავს.

ჩვენ არ შევჩერდებით ძეგლის მნიშვნელობასა და არ-  
ქიტექტურაზე, მაგრამ ერთი რამ დამახასიათებელი, რო-  
მელიც მთაში გაზრდილ და გამოცდილ ოსტატებს შეეძლოთ  
მხოლოდ, ეს არის ციცაბო კლდის პირას საგანგებო, საყრდენი  
კედლების ამოყვანა. უნდა ვივარაუდოთ და დავუშვათ ასეთი  
ვერსაც, რომ ბეჭა მანდატურთხუცესის მიწვევით ქართლის  
მთიანეთიდან არიან წამოსულები ფარეზა და ფარეზასძე,  
როგორც გამოცდილი ოსტატები და ხუროები. ასევე სა-  
ვარაუდოა, რომ ორივე, მამა — შვილი იქვე დარჩენილან  
საცხოვრებლად და სამცხე ჯავახეთში გავრცელებულა  
ფარეზასშვილების გვარით. დღეისათვის შედარებით ნაკ-  
ლებად, მაგრამ ახალციხის რაიონის სხვადასხვა სოფელში  
გვხვდება სხვა გვარებთან შედარებით ნაკლებად გავრცელე-  
ბული გვარი ფარესაშვილი.



საფარის წმ. საბას ტაძრის წარწერა (დასავლეთ კარიბჭის  
სარკმელზე), რომელშიაც მოხსნებულია ხუროთმოძღვარი  
ფარეზასძე (შიგნითა თაღის არეში, მონიშნულია ისრით)  
XIII საუკუნის დასასრული.

## გზის დასაცილებელი

გვარი ფარესაშვილი გვხვდება XVI საუკუნეშიც როგორც „სამეფო აზნაური ქართლისანი“ და შეტანილია ეწ. „Бархатная Книга“<sup>4</sup> -ს სიაში როგორც საქართველოს სამეფო (სახასო ანუ ტახტის) აზნაური. „ – ამათნი შინა – პარნი იყვნენ სპარსილგან მოსულნი, სახელით ვარისად ყოდებაშვილნი და მის ბამო მ00ღეს შთამომავლობათა მისთა ვარჩაშვილობა, მსენი ჰსჩნდენ როსტომ მეფის დროსა რომელგან მ00ღო 1635 წელს მცირე აზნაურად და მოხსენებულიცა არიან ტრაძეთასა შინა“.

უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ სახელი ფარეზა და ფარესაც წარმომადგენლები არიან იმ გვარის, რომელიც XII – XVI საუკუნიდან მოდის და აზნაურის წოდება მიღებული აქვთ XVI საუკუნიდან სამეფო კარზე დამსახურებული მოღვაწეობისათვის.

ფარესაშვილის გვარი გვხვდება XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII დასაწყისშიც, უკვე ქართლ – კახეთშიც, ერეკლე II-ის კარზე სახასო (ტახტის) აზნაურის წოდებით და მოხსენებულია „ბიორიბიმშვის ტრაძეთას“ ხელშეკრულებაშიც, როგორც ქართლ – კახეთის სახასო, ანუ ტახტის აზნაურები<sup>5</sup>.

4 Бархатная Книга – (ხავერდოვანი წიგნი) რომელშიც საქართველოს აზნაურობის სია არის ოფიციალურად შეტანილი. წიგნი გამოცემულია და დამტკიცებული სანქტ-პეტერბურგში 1850 წელს.

<http://www.geogen.ge/index.php?fr=srch>

5 გიორგიევსკის ტრაძეთი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. გვ. 60. გამომცემლობა „მეცნიერება“. მთ. სარედაქტო კოლეგია. შ. ძიძიგური (მთ. რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. აღვესიძე, ვ. გაბაშვილი, რ. კიბაძე (მთ. რედ. მოადგილე), გ. მელიქიშვილი, თ. ყაუხებიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია, გ. ჯიბლაძე, ქ. თბილისი, 1983 წ.

გვარმა უკვე XVI საუკუნიდან განიცადა ტრანსფორმაცია და ოდნავ შეცვლილი სახით, ჩამოყალიბდა როგორც ფარესაშვილი, ხოლო მოგვიანებით შესაძლებელია რუსული ენის ზეგავლენითაც გვარის მექქსე ასო „ა“ შეიცვალა ასო „ი“-თ, ფარესიშვილი, ხოლო შემდგომ გვარის მეხუთე ასო „ს“ შეიცვალა ასო „შ“-ით ფარეშიშვილი, თუმცა ასეთ ცვლილებებს გვარის შემდგომ განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდებია. ამდენად, აღნიშნული გვარი დღეისათვის გვხვდება როგორც ფარეშიშვილი, ფარესაშვილი ან ფარესიშვილი. ასოთა ასეთი თანწყობა, ფიქსაციის და გადაადგილების, მიუხედავად გვარის სახეცვლელებისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი ძირიდან მოდის და საერთო ფუძე აქვს, რაც მის ჭეშმარიტებასა და წარმომავლობაში არავითარ ეჭვს არ იწვევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვარი ფარესას – შვილი, იგივე ფარეშიშვილი, ფარესაშვილი ან ფარესიშვილი წარმოშობით მთიულები, ქართლის – მთიულეთის ღუშეთის (მაზრის) რაიონის სოფელ ჭილურტიდან არის. სწორედ ამ სოფლის მცხოვრებლები, ოთხი ძმა, ახალგაზრდა ვაჟკაცები ფარესას – შვილები, იგივე ფარესაშვილები მსახურობდნენ ერეკლე II-ის კარზე და სარგებლობდნენ დიდი ავტორიტეტით იმდროინდელ საერო თუ საეპლესიო ფეოდალებისა და სამეფო მოხელეების საზოგადოებაში. ამიტომაც ძმებმა ფარესაშვილებმა განსაკუთრებული ღვაწლისა და ერთგული სამსახურისათვის ერეკლე II-ისაგან მიიღეს ტახტის (სახასო) აზნაურის წოდება.

მეფის სამსახურში მდგომი ძმები ფარესაშვილები ერეკლე II-ს მისი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდნენ და მისი ინტერესების დამცველი იყვნენ. 1798 წლიდან ერეკლე II-ს გარდაცვალების შემდეგ, ძმები გადააწილდნენ საცხოვრებლად საქართველოს ქართლ – კახეთის სხვადასხვა კუთხეებში. უფროსი ძმა ხვთისო კვლავ

ერის სამსახურში ჩადგა, დარჩა თელავში და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა გიორგი XII-საც. სამწუხაროდ, ეს სამსახური 1800 წელს მისი გარდაცვალების გამო ხან-მოკლე აღმოჩნდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საცხოვრებლად გა-დასვლამ გამოიწვია ფარესაშვილების გვარის ქართლ – კახეთის ტერიტორიაზე დამკვიდრება.

უფროსი ძმა ხვთისო ფარესაშვილი დაიბადა 1769 წელს დუშეთში, სოფელ ჭილურტში. უცოლშვილო, როგორც ზე-მოთ აღვნიშნეთ, დარჩა ერეკლეს სასახლეში, მსახურობდა გიორგი XII-ის კარზე. გარდაიცვალა, დაახლოებით, 62 წლის ასაკში.


მომდევნო ძმა კონსტანტინე ფარესაშვილი დაიბადა 1772 წელს დუშეთში, სოფელ ჭილურტში. ერეკლე II-ის კარზე სამსახურისა და მისი გარდაცვალების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ახმეტაში, იქვე დაცოლშვილდა. გარდაიცვალა, დაახლოებით, 1842 წელს.

შემდეგი ძმა ივანე ფარესაშვილი დაიბადა 1774 წელს დუშეთში, სოფ. ჭილურტში. ერეკლე II-ის კარზე სამსახურისა და მისი გარდაცვალების შემდეგ დაუბრუნდა მამა-პაპისეულ კერას. იქვე დაცოლშვილდა, გარდაიცვალა, დაახ-ლოებით, 1860 წელს.

უმცროსი ძმა ვასო ფარესაშვილი დაიბადა 1776 წელს დუშეთში, სოფ. ჭილურტში. ერეკლე II-ის კარზე სამსახურის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა კასპში, იქვე დაცოლშვილდა, გარდაიცვალა, დაახლოებით, 1851 წელს.

აღნიშნულ ნარკვევში კვლევის საგანს, ძირითადად, წარ-მოადგენს ძმები ფარესაშვილების საგვარეულო შტოდან მესამე ძმის – ივანე ფარესაშვილის გენეტიკური ხაზი. რაც შეეხება დანარჩენი ძმების ისტორიას, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია და დამატებით კვლევას მოითხოვს.


XVIII საუკუნის 80-იან წლებში კახეთიდან ერეკლე



II-ის სამსახურიდან დაბრუნებული ივანე ფარესაშვილის ჩამოსვლით და მამაპაპისეულ კერაზე დაბრუნებით გვარი ნელ-ნელა განვითარდა, თუმცა დროთა განმავლობაში განიცდიდა ტრანსფორმაციას და სხვადასხვა მომდევნო პერიოდში გვევლინება როგორც ფარესაშვილი ან ფარეშიშვილი, რომელსაც თითქმის ორ საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს და ითვლება ერთ-ერთ ძირძველ გვარად.

ასევე ზეპირსიტყვიერი გადმოცემით და მოკვლევებით ცნობილია, რომ ივანე ფარესაშვილს ჰყოლია რამდენიმე შვილი, ქალიშვილი მზისა (მზევინარი) და ვაჟიშვილი ზურაბი, დანარჩენების სახელები უცნობია. კვლევა არ ჩატარებულა და, შესაბამისად, არც გენეტიკური შტოა ცნობილი.

მზისა (მზევინარი) გათხოვილა ახლომდებარე სოფელ-



მმები ღუშეთის მაზრიდან 1845 - 1918 წწ.  
ზურაბ ფარესაშვილი (1811 - 1889) გენეტიკური  
შტო

ში და, სამწუხაროდ, მასზე არც ზეპირი, არც საარქივო მასალები ვერ მოიძებნა. მეორე შვილი ზურაბი დაბადებულა 1811 წელს, იგი ფარესაშვილად იწერებოდა.

დუხჭირი ცხოვრებისა და სუსტი ჯანმრთელობის გამო ივანე ფარესაშვილის ვაჟი ზურაბი გვიან ეკიდება ოჯახს. 1845 წელს მას შეეძინა პირველი ვაჟიშვილი და მამის საპატივცემულოდ ივანე დაურქმევია.

ზურაბ ფარესაშვილი იმ პერიოდში როგორც სოფელში, ისე დუშეთის მაზრაში, ითვლებოდა ერთ-ერთ საპატივცემულო და პროგრესულ პირად. იმდროინდელ მოთხოვნათა დონეზე სცოდნია რუსული ენა, რამაც მისცა საშუალება სამხედრო ნაწილებში სამსახურის დროს დაკავშირებოდა მაღალი გვარისა და ჩინების ქვეყნებას.

სიცოცხლის ბოლო წუთამდე ზურაბ ფარესაშვილი ძირითადად საოჯახო საქმით იყო დაკავებული და პარალელურად სოფლის მეურნეობასაც მისდევდა; მისმა საერთო განათლებამ დიდი როლი შეასრულა ვაჟიშვილების აღზრდაში, ასწავლიდა წერა-კითხვას. ზურაბ ფარესაშვილი უკვე ხანშიშეული და ჯანგატებილი 1889 წელს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.

როგორც აღნიშნეთ, ზურაბ ფარესაშვილი გვიან მოეკიდა ოჯახს, თუმცა მისმა უინმა და სიცოცხლისადმი სიყვარულმა გადაატანინა მიღებული ტკივილი და ოჯახიც მალე იწყებს გამრავლებას. 1845 წელს პირველი ვაჟის – ივანეს შეძენის შემდეგ კიდევ სამი ვაჟი შეეძინა, 1847 წელს – დავითი, 1850 წელს კი კოტე. (ეს უკანასკნელი მომდევნო წლებში გახდა სასულიერო პირი, ეპისკოპოსი. მოღვაწეობდა წილკნის ეპარქიაში მამა კონსტანტინეს სახელით). 1855 წელს კი – ალექსანდრე.

፩፻፷፭

აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნეში გვარს, როგორც  
ტახტის (სახასო) აზნაურს, ჰელინდა საკუთარი გერბი, რო-  
მელიც გვარის სხვადასხვა რეგიონში გადანაწილების დროს  
დაიკარგა, თუმცა კალევებისა და საარქივო მასალების ძიების  
დროს შესაძლებელი შეიქნა მისი აღდგენა ახალი რედაქ-  
ციით.

ამიტომ, გვარის გენეტიკური თვისებებიდან გამომდინარე, ჰერალდიკური მეცნიერების დახმარებით შეიქმნა ფარეშიშვილი, ფარესაშვილი, ფარესიშვილის საგვარეულო გერბი.

ჰერალდიკა არის მეცნიერება გერბების შესახებ, რო-  
მელიც წარმოიშვა შუა საუკუნეებში და ჯვაროსნულ ლაშ-  
ქრობებს უკავშირდება.

ჯვაროსნული ლაშქრობებისა და ომების დროს სხვა-  
დასხვა ქვეყნის მსოფლიო ფეოდალთა თავშეყრამ განაპი-  
რობა აუცილებლობა, შეექმნათ ერთმანეთისაგან განსხვავე-  
ბული გერბები, რომელზედაც ასახული იყო მათი ქვეყნების  
დამახასიათებელი თვისებები, სარწმუნოება და ამ ქვეყნების  
მაღალჩინოსანთა საგვარეულოს განმასხვავებელი ნიშნები.

რუსეთში პერალდიკა პოლონეთიდან შემოვიდა, რომელ-  
მაც საქართველოშიც იპოვა მყარი საყრდენი, პერალდიკის  
ასეთმა გავრცელებამ გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნებისთვის  
დამახასიათებელი სიმბოლიკის გამოყენება, რომელსაც შემ-  
დგომ გერბი ეწოდა.

ՀԵՐԾՈՎ ՀԵՐՏ-ՀԵՐՏ ԸՆ ԱՐԱ ՀԵՐՏԱՓԵՐՏ ՏՈՐՈՒԹԱԾ

აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ფარი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების ხალხებში გვხვდება განსხვავდული ფორმით და იყი ქმნის დასრულებულ საგერბე გამოსახულებას, რომელზედაც მონიშნულია ამა თუ იმ საგვარულოთა დამახსასიათულები.

სხვადასხვა პერიოდში გვხვდება სახელმწიფოების, ერების, საგვარეულოების და სხვა მათთვის დამახასიათებელი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ფარები, თუმცა გერბისათვის ხშირად იყენებდნენ ფრანგული ტიპის ფარს, რომელიც ოდნავ წაგრძელებული კვადრატია ქვედა მხარეს გულისებრი წაწვეტილი.

ასეთი სახის ფარები გერბთა საერთო სისტემაში XVI საუკუნიდან გვხვდება და არაფერი აქვს საერთო ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და ბრძოლებთან, ანუ საბრძოლო ფართან. არ არის გასაკვირი ისიც, რომ საქართველოშიც გავრცელებულ გერბთა სისტემის უმრავლესობაში გამოიყენება აღნიშნული ფარი დაყოფილი სხვადასხვა ნიშნით.

საქართველოს სათავადაზნაურო გერბთა სისტემაც არ არის გამონაკლისი და ხშირად გვხვდება გერბთა ბალანსში ფრანგული ფარის სილუეტი. აღსანიშნავია სამეფო კარის, ტახტის, ანუ სახასო აზნაურ ფარეშიშვილი, ფარესაშვილი, ფარესიშვილთა საგვარეულო გერბიც. იგი შეზავებულია ფრანგულ – ესპანური გერბის ნაერთით, თუმცა მკვეთრად ჯანსხვავის ფორმით.

აღნიშნული ფარის ფორმის პრინციპული განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ოვალური ნაწილი, ანუ გვერდი, ფარს ზედა მხარეს აქვს, ესპანურ ფარს კი – ქვედა ნაწილ-ზე, ანუ მხარეზე. რაც შეეხება ფრანგულ ფართან მსგავსებას, აქაც პრინციპული სხვაობაა: ფრანგული ფარის ზედა გვერდი სწორხაზოვანია. ამრიგად, ორი ფარის, როგორც ფრანგული, ისე ესპანური ფარის ელემენტების გამოყენებით, მიღებულია მესამე, პრინციპულად განსხვავიბული ფარის

# სახალის (გახდის) ახნაური ფარუშიშვილი, ფარუსაშვილი, ფარუსიშვილი საგვარეულო გურა



ავტორი: ზურაბ ფარუშიშვილი  
მხატვარი: ქავთარ ქავთარაშვ  
დეპონირებულია საქატენტის მიერ  
02.07.2011 №4474

ფორმა, ანუ ოდნავ წაგრძელებული კვადრატი, რომლის ზედა ნაწილი, ანუ გვერდი ოვალური ფორმისაა, ხოლო ქვედას გულისებრი წაწვეტების ფორმა აქვს.

ფარი დაყოფილია ნაწილებად, ანუ დექსტრისად (მარცხნა მხარე), სენექსტრისად (მარჯვენა მხარე), ფარის გული შედგენილია სხვადასხვა ელემენტებით და შეფერილობით. გადაკვეთილი ფარი, ზედა გაკვეთილი ნაწილით ზედა მეწამულ ველზე დექსტრისაკენ გამოსახულია მამაკაცის მარჯვენა ხელი შავ შტრიხებში ვერცხლისფერი გონიოთი. სენექსტრისკენ ოქროს ველზე ფაფარაყრილი თეთრი ცხენი შავი შტრიხებით.

გაკვეთილ – გადაკვეთილი ფარის ცენტრში მოთავსებულია პატარა მრგვალი ვერცხლისფერი ქართული ფარი ოქრის სამყურა ჯვრით, რომელიც ჩასმულია წითელი ფერის ოთხკუთხა გვერდებიან ჯვრის ფორმის ჩარჩოში. ფარის უკან მიკრულია ვერცხლისფერი გორდა.

ფარის ქვედა ლაჟვარდოვან ველზე დაშტრიხული შავი ხაზებით თეთრი ფერის ციხე – გალავანია შიგ ჩამდგარი ეკლესიის გუმბათით. ციხე – გალავნის წინა ნაწილში მწვანე ველზე შავად დაშტრიხული ხაზებით მიწის ხნულები.

ფარის ზედა ნაწილზე ოვალურ მხარეს შემომჯდარია გასაფრენად გამზადებული არწივი, შავ-თეთრ შტრიხებში.

ფარის გარშემო შემოვლებული აქვს მწვანე ლამბრეკენი მეწამული სარჩულით.

ფარის ქვევით ოქროს ლენტი მეწამული ნუსხური დევიზით „ერთგულება, სიწმინდე“.

გერბი შესრულებულია თეთრ სარჩულზე მარტივი ორნამენტის გაშლილი წყობით ღია ვერცხლისფერში.

ჰერალდიკური ნიშნების შინაარსობრივი სიმბოლური დატვირთვა გამომდინარეობს ტახტის (სახასო) აზნაურ ფარეშიშვილი, ფარესაშვილი, ფარესიშვილების საგვარეულოს დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით, ასე მაგალითად:



საქართველოს ინფორმაციული საქართველოს ეროვნული შენობის  
საკატალო

## დეკორაცის დამადასტურებელი მოწოდება

№ 4473



გამოცხადებელი:  
ზურაბ ვარისიშვილი (პირადი №01008012187)

ნამდვილი:  
სახასო (ტახტის) აზნაური ფარეშიშვილი, ფარესაშვილი,  
ფარესიშვილი, საგარეულო გერბი

ნამდვილის კატეგორია:  
სახვითი ხელოვნების ნაწარმოები

დარღივი:  
2011 02 07

ინ. ლ. ს. ა.  
ინაკლი ლვალაძე  
თავაჯლომარე  
14/02/11

არწივი; დაუმორჩილებლობის, მებრძოლი სულის და  
თავისუფლების სიმბოლო.

მამაკაცის მარჯვენა გონიოთი: ზუროს და აღმშენებლის  
სიმბოლო.

ფაფარაყრილი ცხენი: გონიერების და ერთგულების სიმ-  
ბოლო.

მრგვალი ფარი სამყურა ჯვრით და გორდით: სიმამაცის,  
თავდაცვის, ბრძოლისა და უფლის მფარველობის სიმბოლო.

ციხე – გალავანი ეკლესიის გუმბათით: სიმყარის, სი-  
ძლიერის, რწმენისა და სიწმინდის სიმბოლო.

ლამბრეკენი: სიცოცხლის, აღორძინებისა და მომავლის  
სიმბოლო.

ოქროს ლენტი: საგვარეულოს დევიზი.

უბელეს ჰერალდიკაში ფართა შეფერილობას სიმ-  
ბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა და გამოიყენებოდა ოთხი  
ძირითადი ფერი: წითელი, ლურჯი, თეთრი და შავი. XIV  
საუკუნიდან ამ ფერებს ჰერალდიკოსებმა მწვანე, ყვითელი  
(ოქრო) და მეწამული ფერი დაუმატეს, ხოლო ინგლისურ  
გერბებში დამატებით ნარინჯისფერიც გვხვდებოდა.

ფარის გარეგნული მორთულობისა და შეფერი – ლო-  
ბის გარდა ჰერალდიკაში არსებობს სხვა მნიშვნელოვანი,  
თუმცა მეორეხარისხოვანი ნიშნებიც, რომელიც მიანიშნებს  
გერბის მფლობელის წოდებრივ ხარისხს და რანგს.

აღნიშნული ელემენტები ფაქტოურად გათვლილია გერ-  
ბის სილამაზისა და ბრწყინვალების მისანიჭებლად. ასეთი  
ელემენტებია:

1. ფარის მტგირთველი: გურეს ატტენანტს (Les ten-  
nants, Les supports, Les soutiens).
2. გერბის მანტია: (Le mantile).
3. დევიზი: (Le devise).

## გერბის შექმნა

გერბის შექმნა – აღდგენაზე ჩატარებულმა სამუშაოებმა წინა პლანზე წამოსწია ფარეშიანთა გვარის სულიერი ფასეულობების შესწავლის საკითხი, რომელიც უკვე ჩვენს და მომდევნო თაობას მემკვიდრეობით ერგო და ეკუთვნის. ეს გახლავთ მამული, საგვარეულო მიწა-წყალი, ფუძე, მამა-პაპათა საფლავები, ოჯახური ტრადიციები, ჯვარი-ხატი და წმინდა სალოცავები, რომლებიც ქართველ ქრისტიან – მართლმადიდებელთა სარწმუნოების ერთ-ერთი მთავარი სიწმინდეებია და თუ გასული XX საუკუნის ცხოვრებამ რეალურად ვერ შეაფასა ყოველივე ეს, ქვეცნობიერად მაინც ბორგავდა თითოეული ჩვენგანის სულში და რიდითა და პატივისცემით ვიყავით განწყობილი.

ქართველი, მიუხედავად იმისა, თუ სად და რომელ ქვეყანაში ცხოვრობს ან დაბადებულა, იცის ან უნდა იცოდეს მისი სამშობლო, ფუძე და ფესვები. საბედნიეროდ, გვაქვს უამრავი მაგალითი, როცა სამშობლოდან წასული ადამიანები სულიერად და ხორციელად მაინც უბრუნდებიან საკუთარ მიწა-წყალს და წინაპართა საფლავების გვერდით სამუდამოდ პოულობენ განსასვენებელ ადგილს. ამ დროს ისინი აღსარებით წარსდგებიან უფლის წინაშე, ლოცულობენ საგვარეულო ხატის წინ და ანთებენ სანთლებს. ამიტომ მამაპაპისეული მიწისკენ ლტოლვა და მიზიდულობა უფრო უნდა გაძლიერდეს და არ უნდა გაწყდეს.

საქართველოში არსებული თითოეული გვარი, მათი საცხოვრებელი გეოგრაფიული გარემოებიდან გამომდინარე, სპეციალდებოდა გარემო პირობებთან შეხამბული საქმიანობით. ფარეშიანთა გვარი ამ შემთხვევაში დაკავებულნი იყვნენ მესაქონლეობით და ქვის დამუშავებით. ამიტომ



დუშეთის რაიონი სოფ. ჭილურტი  
ღმრთისმშობლის ეკლესია XVII

ნებისმიერი გვარი იცავდა იმ სიწმინდეებს, სალოცავებსა და საგვარეულო ხატებს, რომლებიც მათ ყოფა-ცხოვრებაში სულიერ საზრდოს და საყრდენს ქმნიდნენ. გამომდინარე აქედან, ძალზე დიდი ინტერესი გამოიწვია ფარეშიანთა გვარის სულიერი სალოცავი ხატის დადგენამ.

მოძიებულ საარქივო მასალებში არ აღმოჩნდა საგვარეულო ხატის არსებობის რაიმე დამადასტურებელი ფაქტი. ვერც ქ.თბილისსა და კასპის რაიონის სოფლებში მცხოვრებელ საგვარეულოს წარმომადგენლებმა გვითხრეს რაიმე საიმედო, თუმცა კასპის რაიონის სოფ. სამთავისის ეზოში აღმოჩნდა ვინმე ნინიკა ფარესაშვილის საფლავი, რომელიც 1871-1875 წლებში, როგორც სასულიერო პირი, მსახურობდა და მოღვაწეობდა სამთავისის ეკლესიაში. სწორედ ამ პიროვნების შთამომავალთა ოჯახში აღმოჩნდა ძველისძველი წმინდა სამების ხატი. სამწუხაროდ, ვერც ოჯახის წევრებმა ვერ დაგვიდასტურეს ხატის წარმომავლობა და იყო თუ არა იგი საგვარეულოს სახელზე დაწერილი.

საგვარეულო ხატის ძიების ინტერესთა სფერომ გადაინაცვლა დუშეთის რაიონში, სადაც შევხვდით ოთხმოცდაშვიდ წელს გადაცილებულ გაიოზ შალვას-ძე ფარესიშვილს, რომელიც დუშეთის მაზრის სოფ. ჭილურტში არის დაბადებული. მან ჩვენთან საუბარში გაიხსენა, რომ ასეთი ხატი მისი პაპის გრიგოლ ფარესიშვილის ოჯახში ჰქონდათ. მას არ ახსოვს, იყო თუ არა წმინდა სამების ხატი გვარის სახელზე დაწერილი, მაგრამ კარგად ახსოვს, თუ როგორ გადაუწეს და ააწიოკეს ბოლშევიკებმა მათი სახლ-კარი სოფ. ჭილურტში და სხვა საოჯახო ნივთებთან ერთად ხატიც დაიკარგა.

იგივე შემთხვევა გაიხსენა სოფ. ებნისში მცხოვრებმა ოთხმოცდაექვსი წლის ქალბატონმა რუზანა მიხეილის ასულმა ფარესიშვილმა, და დაადასტურა, რომ ფარესიშვი-



დუშეთის რაიონი სოფ. ჭილურტი ფარეშიანთ უბანი (კარი).

ლებს ნამდვილად ჰქონდათ საგვარეულო სალოცავი წმინდა სამების ხატი, რომელიც ოცდაათიან წლებში (ზუსტი თარიღი ვერ დაასახელა) სოფ. ჭილურტში ბოლშევიკების მიერ გრიგოლ ფარესიშვილის აწიოკებულ და დამწვარ სახლ-კარს მეზობლების წყალობით გადაუჩა.

საგვარეულო ხატის ძიებაში კვალმა საბოლოოდ ფარეშიანთა ძირძველ ფუძეზე სოფ. ჭილურტში მიგვიყვანა, სოფელში საიდანაც XVI – XVII საუკუნეებიდან წარმოვიდა ფარეშიანთა გვარი და გავრცელდა ქართლ – კახეთის ტერიტორიაზე. სოფ. ჭილურტში, რომლის მიწაზეც განისვენებს ჩვენი წინაპარი, ჯერ კიდევ შემორჩენილია უბანი ანუ კარი, რომელსაც ფარეშიანთ უბანს უწოდებენ. გაირკვა ისიც, რომ სოფ. ჭილურტში ფარეშიანთ გვარის წარმომადგენლები აღარ ცხოვრობენ, გარდა ერთი ოჯახისა, და ისიც მანდილოსანი ოთხმოცდაოთხი წლის ქეთევან ფარე-სიშვილია.

ქალბატონ ქეთევან ფარესიშვილმა საუბრისას გაიხ-სენა, რომ სოფ. ჭილურტის წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც განეკუთვნება XVIII-XIX საუკუნეებს და დღეს დანგრევის პირას არის მისული, ინახება წმინდა სამების ორი პატარა ხატი და ვარაუდი გამოთქვა, რომ ეს ხატები ფარეშიანთა გვარის სალოცავი ხატები უნდა ყოფილიყო, ამიტომ მასაც ბევრჯერ აუნთია სანთლები ხატის წინაშე. ხატების არსებობას და სავარაუდო მოსაზრებას ეთანხმებიან სოფლის მცხოვრებლებიც შალვა ბუჩქური, ჯიმშერ პაპკიაური, გოდერი ქისრუაშვილი და სოფ. ებნი-სის მკვიდრი თემურ მორბედაძე. თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაადასტურა, თუ როგორ მოხვდა ან ვისი იყო წმინდა სამების ხატები სოფლის ეკლესიაში, რომლებსაც ღირსეული ადგილი უკავიათ ეკლესის კედლებზე.

საინტერესო საუბარი შედგა ქაშვეთის ეკლესის მოღვართან, დეკანზე მამა ელიზბარ ოდიშვილთან, რომელიც

წარმოშობით სოფ. ჭილურტიდან არის. მან დაადასტურა ფარეშიანთა ადგილ-მამულის არსებობა, ძირი, ფუძე და აღნიშნა, რომ მიუხედავად საბჭოთა წყობისა და სოფელში არსებული კოლმეურნეობისა, სოფ. ჭილურტის მიმდებარეველებს და ტყეებს ფარეშიანთა ტყე-ველი ეწოდებოდა და მაშინაც ასე მოიხსენიებოდათ.

მოძღვარმა, დეკანზე ელიზბარ ოდიშვილმა განმარტა, რომ საგვარეულოს სალოცავი ხატი იწერება არსებული ფაქტებისა ან სავარაუდო კვლევების ჩატარების შემდეგ, რომლის დროსაც დგინდება საგვარეულოს ამ შემთხვევაში ფარეშიანთა გვარის წარმოშობა, ადგილის დედა, წინაპართა – საფლავები, სალოცავი სადაც ფარეშიანთა გვარი ლოცულობდა და წმინდანნი. ყოველოვე ამის შემდეგ როგორც ზეპირსიტყვიერი, ისე სავარაუდო კვლევით მოძიებული მასალების საფუძველზე იწერება ხატი, რომელიც არც ერთ ტაბარს არ ეწირება და სათანადო წესის დაცვით შებრძანდება გვარიშვილთა ოჯახებში.

საგვარეულოს სახელზე დაწერილი წმინდა სამების ხატი აუცილებლად უნდა იქნეს მიბრძანებული რომელიმე ტაბარში და რამდენიმე ღამის თევით უნდა იქნას დაბრძანებული საკურთხეველში. ამ დროს ხატი იძენს მის მითიურ და ყოვლისშემძლე ძალას.

## ლოცვა ყოვლადწმიდა სახელისა

1. დიდება მამასა, და ძესა, და წმინდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმინდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უზალო, გვისხენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან. მეუფეო, შეგვიწყალენ უსჯულოებანი ჩვენნი; დმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

2. წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩვენ. (ეს ლოცვა წარმოითქმება სამჯერ).

1. ლოცვა მიმართულია წმიდა სამების სამივე პირი-სადმი. ამ ლოცვაში ჯერ წმიდა სამებას, ერთს, ხოლო შემდგომში კი სამების სამივე პირს ცალ-ცალკე ვთხოვთ (თუმცა სხვადასხვა სიტყვით) ცოდვების მიტევებას.

სიტყვები „ყოვლადწმინდაო სამებაო“ ეკუთვნის ერთობლივად წმინდა სამების სამივე პირს და ვითხოვთ შეწყალებას. სიტყვით: „უფალო“ ჩვენ მივმართავთ მამა ღმერთს, რათა მან შეგვინდოს ჩვენი ცოდვები, „მეუფეო“-ძე ღმერთის, რომლისგანაც პატიებას ვითხოვთ ჩვენი უსჯულოებისათვის, „დმინდაო“-სულიწმინდა, რომელსაც ვთხოვთ თავის სიახლოვით განკურნოს ჩვენი სულიერი სნეულებები. ლოცვის ბოლოს სიტყვებს და „სახლშა შენისათვის“ წარმოვთქვამთ იმის აღსანიშნავად, რომ ცოდვები მიგვეტევება არა ჩვენი რაიმე დამსახურებით, არამედ ყოვლაწმინდა სამების კაცომლებით.

2. ეს ლოცვა მიმართულია წმინდა სამებისადმი და განეკუთვნება მამა ღმერთს, ძე ღმერთს და სულიწმინდა ღმერთს. „შეგვიწყალენ ჩვენ“ ეკუთვნის წმინდა სამების სამივე პირს, რადგან ისინი ერთობლივად მოგვიტევებენ ცოდვებს და გვწყალობენ ჩვენ. ამ ლოცვას საწმინდაო ან სხვანაირად – „ანგელოზთა გალობა“ ეწოდება<sup>6</sup>.

## დანართი გვარის დალოცვის ორგანიზაცია და საგვარეულო სატის ოჯახი გამორჩევა

1. საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის მიერ გვარების დალოცვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქებამ მრავალ გვარს სურვილი გაუცხოველა პატრიარქის წინაშე ღირსეულად წარდგეს. ისევე, როგორც ყოველი მორწმუნე, აღსარებას და ზიარებას მოძღვარის მეშვეობით იღებს, გვარს პატრიარქის დალოცვის მაღლი მთლიანად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული და ამისათვის საგანგებოდ უნდა მოემზადოს.

2. სასაურველია გვარის სულ ცოტა სამი წარმომადგენელი მოვიდეს და საინიციატივო ჯგუფი წინასწარ ჩამოყალიბდეს. საინიციატივო ჯგუფი თითოეულ გვარიშვილს

6 როგორ უდა ვიღოცოთ და მოგიზვეთ ფამარში. – დ.ი. პროფორაორგის „განმარტებითი ლოცვის“ მარამ მიქაძისეული თარგმანი, რაც რედაქციულია და ტერმინოლოგიურად შეივსო და დაზუსტდა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის დაფინანსების კათედრაზე-რედაქტორი ედიშერ ჭელიძე. გვ.12-13. ქთბილის 2005 წ.



წმინდა სამების ხატი

სათანადო ინფორმაციას მიაწვდის, საფუძველს ჩაუყრის საგვარეულო ფონდის შექმნას და მოამწიფებს აზრს, რომ საგვარეულო კავშირი დაარსდეს. დალოცვილ და რეგისტრირებულ გვარებს აქვთ თავიანთი ფონდი, ჰერალდიკა (ლოგო, ალამი...), საგვარეულო მატიანე და ა.შ., დგანან უფლისა და ერის სამსახურში.

3. გვარის სურვილის გათვალისწინებით, კვლევის შედეგად, დგინდება გვარის წარმოშობის ბუდესოფელი, ადგილის დედა, ფუძე, სადაც მოცემული გვარის წინაპართა სამაროვანი და ფესვებია, ზუსტდება საგვარეულო სალოცავი და საგვარეულო წმინდანი, რომლის სახელზე იწერება ხატი. ორგანიზებულმა გვარმა უნდა შეძლოს მივიწყებული საგვარეულო სალოცავის და ბუდესოფლის გაცოცხლება. გვარი წელიწადში ერთხელ იქ შეიკრიბება, პატივს მიაგებს მშობლიურ სალოცავს და წინაპართა ნათელ ხსოვნას, გასაკეთებელს გააკეთებს და ასაშენებელს ააშენებს.

4. საგვარეულო ხატი არცერთ ტაძარს არ ეწირება. ის, სათანადო წესის დაცვით (სახლის – ბინის კურთხევით, მოუნათლავის მონათვლით, ჯვარდაუწერელის ჯვრისწერით), გვარიშვილთა ოჯახებში მოგზაურობს, რიგს საგვარეულო კავშირის გამგეობა და გვარის წინამდლოლი ადგენს. ოჯახში ხატის შებრძანების ცერემონიალს მოძღვარი (მღვდელი) ასრულებს. პირადი მოძღვარი, ანდა იმ მრევლის მღვდელი, სადაც ტერიტორიულად ეს ოჯახი ცხოვრობს. ზოგიერთი გვარის გამგეობა ხატს ყულაბას აყოლებს, სადაც გვარში გაჭირვებულთა დასახმარებლად შემოწირულობები გროვდება.

5. საგვარეულო კავშირის დამფუძნებელი კრება სამების ლავრის საკონფერენციო დარბაზში იმართება. სასურველია კრების ჩატარების თარიღი ყველა გვარიშვილისთვის იყოს ცნობილი, რათა გვარის განსახლების მიხედვით არჩეული იქნეს გამგეობა, აქვე ირჩევენ გვარის წინამდლოლს, მიიღე-

ბენ საგვარეულო კავშირის სამოქმედო წესდების ნიმუშს, რისი გათვალისწინებითაც თავიანთ წესდებას შექმნაან, საჯარო რეესტრში რეგისტრაციას გაივლიან და საგვარეულო ფონდის ანგარიშს გახსნიან.

6. ამოქმედებული გვარი, საგვარეულოთა კავშირის მეშვეობით, კათოლიკოს – პატრიარქის წინაშე, წინასწარ დანიშნულ დღეს, წარდგება. პატრიარქი გვარებს სამების ტაძარში ლოცავს საკვირაო წირვაზე, წირვის დამთავრების შემდეგ, არასამარხვო დღეს – ხსნილზე. შაბათს ლოცვის წინ საგვარეულო ხატს გვარიშვილები სამების ტაძარში მოაბრძანებენ, რომელიც დამით საკურთხეველში დარჩება. გვარი წირვას დაესწრება, დარბაზში თავისი ხატით და აღმით დადგება, კურთხევის შემდეგ საზეიმო მსვლელობით საკონფერენციო დარბაზში ჩამოვა, სადაც საზეიმო შეხვედრა გაიმართება<sup>7</sup>.

## სარჩევი

შესავალი.....	5
მამაკაცი გონიოთი.....	7
გზის დასაწყისი.....	16
გერბი.....	22
მემკვიდრეობა.....	28
ლოცვა ყოვლადწმინდა სამებისა.....	34
დანართი .....	35

## კ ვ ტ რ ჩ ი ს ა გ ა ნ

პატივცემულო მკითხველო და მოგვარეებო, მოგახსენებთ, რომ ამ ქვეყნად უნაკლო არავინ და არაფერია. ამიტომ თუ რამე შენიშვნა, რჩევა ან განსაკუთრებული ცნობები მოგეპოვებათ ფარეშიანთა გვარის შესახებ, რომელიც შეავსებს ამ წიგნს დიდი სიამოვნებით მივიღებ და გავითვალისწინებ მეორე გამოცემაში თუ ეს საჭირო გახდება.

შევიძლიათ დამიკავშირდეთ ამ მისამართზე – ქ.თბილისი: ირ.აბაშიძის ქ.№22<sup>o</sup> ბ. 30.

ტელ.:222-27-47; 218-30-93; (5-99)28-27-47

<sup>7</sup> ლევან გრიშაშვილი; „გვარი და გვარიშვილობა“ გვ.139-140; გამომცემლობა შ.ა.ს. „გვარიშვილი“ 2011 წელი, ქ.თბილისი.

**0ბეჭდება ქაშვეთის ეკლესიის დეპარტიის მამა  
ელიზბარ ოდიშვილის  
ლოცვა-პურისები**

**ზურაბ ფარესიშვილი**

**ფარეშიანი პარი**

- |                     |   |
|---------------------|---|
| <b>რედაქტორი</b>    | — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი<br>პროფესორი ნინო ბარნოვი.  |
| <b>კონსულტანტი</b>  | — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი<br>პროფესორი მურმან პაპაშვილი |
| <b>მხატვარი</b>     | — ქავთარ ქავთარაძე.   |
| <b>ტექ.</b>         |   |
| <b>რედაქტორი</b>    | — ნანი მამულაშვილი  |
| <b>კომპიუტერული</b> |   |
| <b>უზრუნველყოფა</b> | — სათუნა სუციშვილი,<br>მარიამ გიორგობიანი.                    |